

საქართველოს ორგანული კანონი

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №1, 15.01.2009, მუხ. 2) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავისი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით უფლებამოსილია მიიღოს ცალკეული გადასახადის გადამხდელების შესახებ იდენტიფიცირებული ინფორმაცია (საგადასახადო საიდუმლოება) მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით, ხოლო საჯარო შესყიდვასთან დაკავშირებული ინფორმაცია – „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“.

2. 36¹ მუხლის:

ა) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ინსტიტუტის მომსახურების საფასურის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება ინსტიტუტსა და დაინტერესებულ პირს შორის დადებული ხელშეკრულებით, ხოლო საჯარო აუდიტის სწავლების, სერტიფიცირებისა და განგრძობადი სავალდებულო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში – ინსტიტუტის ხელმძღვანელის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით – ბრძანებით.“;

ბ) მე-7 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2027 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს 2024 წლის 5 სექტემბრის ორგანული კანონი №4430 – ვებგვერდი, 23.09.2024წ.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,

9 თებერვალი 2023 წ.

N2583-XIმს-Xმპ

